საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური
საბჭოს
2012 წლის 6 ივლისს
№ 733 დადგენილებით
მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2020 წლის 14 აგვისტოს
№01-05-04/108 დადგენილებით

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
Georgian Language for Foreigners

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of engineering economics, media technology and social sciences

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების (აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და სომხურენოვანი) ტესტების შედეგების საფუძველზე. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სტუდენტთა ჩარიცხვა ჯგუფებში მოხდება ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე, წერითი და კითხვის უნარები – წერილობით პრეტესტის, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები განისაზღვრება აუდიოტექსტისა და ზეპირი ინტერვიუს ჩატარების საფუძველზე, სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე.

საწყისი ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შედეგად (ოთხივე მიმართულებით) სტუდენტები გადანაწილდებიან სხვადასხვა დონის (A და B ბლოკების) ჯგუფებში.

პროგრამის აღწერა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთ სასწავლო წელს (წელიწადში 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი). 1 კრედიტის ოდენობა 25 საათია, რომელშიც იგულისხმება სტუდენტისთვის განკუთვნილი როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას. დამატებით გამოცდაზე სტუდენტი გადის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დასკვნით გამოცდაზე გასვლის შემდეგ ჯამში დააგროვა 41-დან 50 ქულის ჩათვლით.

პირველი სემესტრი მოიცავს ექვს 5 კრედიტიან სასწავლო კურსს, არჩევით A და B ბლოკებს (30 კრედიტი). A არჩევითი ბლოკი გულისხმობს პირველ სემესტრში ინტენსიურ კურსებს, მეტი საკონტაქტო საათების ოდენობასა და ტუტორის აქტიურ დახმარებას. B არჩევითი ბლოკი შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის (B1 და მეტი) მქონე სტუდენტებზეა გათვლილი, ნაკლები საკონტაქტო საათებით.

მეორე სემესტრი მოიცავს ხუთ 5 კრედიტიან სასწავლო კურსს და რვა 5 კრედიტიან სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსს, დარგობრივ ლექსიკას, რომელთაგანაც სტუდენტი ირჩევს ერთს, იმ დარგობრივ ლექსიკას, რომელ სპეციალობაზეც გააგრძელებს სწავლას ბაკალავრიატში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების, სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების შესახებ და სხვა საჭირო ინფორმაცია (იხ.http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/martvis_%20instruqc_18_SD.PDF)

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

ა. არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართულ ენაში ცოდნის მიცემა იმ დონეზე, რომ შეძლოს სტუ-ს საბაკალავრო ნებისმიერ პროგრამაზე ქართულ ენაზე სწავლა – ლექციის/ზეპირი მოხსენების მოსმენა, გაგება-გააზრება, დარგობრივი ლიტერატურის გაცნობა და გაგება, აუდიტორიაში (სემინარზე, პრაქტიკულზე) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, მოცემული დავალების წერითი თუ ზეპირი ფორმით შესრულება, საშინაო დავალებების მომზადება და პრეზენტაცია ქართულ ენაზე.

ბ.ქართველ საზოგადოებაში მარტივად ინტეგრირებისათის ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ღირებულებების სწავლება პრონციპით: ენა კულტურით და კულტურა ენით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

1.აღწერს:

ისტორიული, ეთნოგარფიული, ფოლკლორულ-ლიტერატურული თხრობითი მარტივი

ტექსტების ლინგვოკულტუროლოგიურ მონაცემებს; ქართული ენის ლექსიკის ფონდის გამდიდრების გზებს; ენის ნორმების შესატყვის ზეპირი მონოლოგური ხასიათის კონსტრუქციებს; ქართული ენის ძირითად ფონეტიკურ მოვლენებს - ჟღერადობას, სიყრუეს, სიმკვრივეს, ასიმილაციას, დისიმილაციას, მეტათეზისს; ქართული ენის ბგერით შედგენილობას, სტრუქტურას, სისტემის თავისებურებებს; ქართული წერითი მეტყველების სპეციალურ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს; ქართული ენის გრამატიკის (მორფოლოგიის) ელემენტარული საკითხებს; ქართულ სინტაქსურ კონსტრუქციებს, სიტყვათა დაკავშირების წესებს; ქართული მულტიკულტურალიზმის თავისებურებებს.

2.ჩამოთვლის:

ლექსიკურ ნაირსახეობებს, ლექსიკური სისტემის, სემანტიკის თავისებურებებს; ლექსიკის ათვისებისა და მისი გაღრმავების მიმართულებებს; დარგობრივი ლექსიკის თავისებერებებს; ფონური (ელემენტარული) ცოდნის საფუძველზე, ქართული სახალხო, ყოფითი და მაღალი კულტურების თავისებურებებს;

ქართული ზეპირმეტყველების სპეციფიკურ, თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს;

პროფესიულ საქმიანობაში წერის სტრატეგიების გამოყენების თავისებურებებს;

მეტყველების ნაწილებს, მათ თავისებურებებს; ავტოქთონი მოსახლეობის და ეროვნული უმცირესობების ეთნოკულტურების ღირებულებით ელემენტებს; ქართული ენის კომუნიკაციურ თავისებურებებს; ქართული ენის დიალოგისა და სინტაქსურ კონსტრუქციებს;

ქართული მართლმეტყველების, მართლწერისა და პუქტუაციის საკითხების ძირითად ასპექტებს; ქართული ენის სინტაქსის თავისებურებებს.

3.განსაზღვრავს:

ბგერათა ჯგუფებს წარმოთქმის ადგილის მიხედვით; ქართული ენის სპეციფიკას მშობლიურ ენასთან მიმართებით; ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების გამოვლენებს;

ქართულ ენაზე მოსმენილი ტექსტების თარგმნისა და ანალიზის უნარის საჭიროებას;

დიალოგის წარმართვის პრაქტიკულ ენობრივ სტრატეგიებს; წინადადების კონსტრუირების მნიშვნელობასა და ქართულ ენობრივ-სტილისტიკურ თავისებურებებს.

4.აანალიზებს:

ქართული კულტურის საკითხებზე მარტივი წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დამყარების მიზანშეწონილებას; ქართული კულტურის, ენის, მეტყველების ბუნების შესახებ ინფორმაციის კლასიფიცირებას, ფაქტების შეჯერებას, განზოგადებასა და პრაქტიკაში გამოყენების მიზანშეწონილობას; ლექსიკური ერთეულების მიზნობრივად გამოყენების მიზანშეწონილობას; სიტყვაწარმოების გამოყენებით, მიზნობრივ ლექსიკურ ერთეულებს; ქართულ ზეპირმეტყველებაში გამოკვეთილ შეცდომებს და ასწორებს; კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს: ჩუმი კითხვა, პაუზებით კითხვა, მთლიანობით კითხვა; ფონეტიკურ მოვლენებს სრულფასოვნი ვერბალური კომუნიკაციის დასამყარებლად; ქართულ მართლწერაში გამოკვეთილ უზუსტობებს და ასწორებს; ქართულ ენაში (მორფოლოგიაში) გამოკვეთილ პრობლემებს, სწორად აკავშირებს სიტყვებს. ქართულ ენაზე დიალოგისას გამოკვეთილ უზუსტობებს;

ქართულ მართლწერაში რთულ ტექსტზე ორიენტირებისას გამოკვეთილ უზუსტობებს და ასწორებს; ქართულ მეტყველებაში სწორ და არასწორ ფორმებს; არჩევს მათ გამოსაწორებლდ სათანადო ენის ნორმებს; ქართულ ენაზე დიალოგისას გამოკვეთილ უზუსტობებს, აკეთებს დასაბუთებულ დასკვნებს.

5. ამოიცნობს:

ფონური (ელემენტარული) ცოდნის საფუძველზე, ქართული სახალხო, ყოფითი და მაღალი კულტურების თავისებურებებს; ლექსიკის ათვისებისა და მისი გაღრმავების მიმართულებებს; ქართული ენის ფონეტიკის მკაფიოდ გამოკვეთილ პრობლემებს; ქართულ მართლწერაში გამოკვეთილ უზუსტობებს და ასწორებს; წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე აყალიბებს აზრს თანმიმდევრულად და გადასცეს

წერილობითი ფორმით; წინადადების წევრებს, აკავშირებს მათ, მიზნობრივად აწესრიგებს და იყენებს პრაქტიკაში; პროფესიულ საქმიანობაში წერის სტრატეგიების გამოყენების თავისებურებებს;

6. მონაწილეობს:

მონაწილეობს მარტივსა და თემატურ ენობრივ კომუნიკაციებში; სააუდიტორიო კომუნიკაციებსა და მუშაობაში; ქართული მულტიკულტურალიზმის, ტოლერანტობის, ავტოქთონი მოსახლეობისა და ეროვნულ უმცირესობათა ღირებულებების პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტაში; ქართული მართლმეტყველებისა და მართლწერის ნორმების დაცვით, ინფორმაციის წერილობით და ზეპირი ფორმით გადაცემაში.

7. აჩვენებს:

ურთიერთკომუნიკაციის მზაობას; წინადადებების სიტყვათგანლაგების ცოდნის საფუძველზე, სწორი კომუნიკაციის უნარს; დიალოგში ქართულ ენაზე სწორმეტყველებით ჩართვის უნარს.

8.პატივს სცემს:

თავისი და სხვისი კულტურული მრავალფეროვნების ღირებულებებს; სხვის აზრსა და იცავს დისკუსიაში მონაწილეობისას საკუთარ მოსაზრებას; ინტერკულტურულ და სოციოკულტურულ ღირებულებებს, განსხვავებულ კულტურებს.

9.ადგენს:

ახალი, სპეციალური ლიტერატურის გაცნობით, დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავების საჭიროებას; შემდგომი სწავლის საჭიროებას.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული ☐ ლაბორატორიული
☐ პრაქტიკა ☐ საკურსო სამუშაო/პროექტი ☒ კონსულტაცია ☒ დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

ლექცია;
სემინარი (ჯგუფში მუშაობა);
პრაქტიკული მუშაობა
დისკუსია/დებატები;
თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
დემონსტრირება;
ინდუქცია;
დედუქცია;
ანალიზი;
ვერბალიზება;
წერითი მუშაობა;
ახსნა-განმარტება;
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
თამაშით სწავლების მეთოდი;
პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

თითოეულ სემესტრში, თითო სასწავლო კურსის შეფასების მაქსიმალური ქულაა 100, მინიმალური დადებითი შეფასებაა - 51. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60. შეფასება შედგება 2 კომპონენტისაგან, რომელიც მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას.

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სტუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები (ნებისმიერი სპეციალობით)

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამის დარგში (ფილოლოგია) დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით. პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსით, კერძოდ, ბიბლიოთეკა - ძირითადი სახელმძღვანელოების უზრუნველყოფის გარანტიით; სპეციალური სამკითხველო ფართი, სადაც სტუდენტები შეძლებენ ადგილზე სხვადასხვა სტრატეგიის და ხერხების გამოყენებით კითხვას; სხვადასხვა ტიპის დამხმარე მასალა (დაფა, წერითი დავალებებისთვის სპეციალურად შექმნილი ტესტები, კომპიუტერული ტექნიკა პრეზენტაციების მოსამზადებლად; ლეპტოპები და კომპიუტერები აუდიო-ვიზუალური მასალის მოსასმენად/საჩვენებლად; ხმის ჩამწერი მოწყობილობები (კომპიუტერული ტექნიკა, დიქტოფონები); უწყვეტი ინტერნეტი.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 24

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო კურსი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი	
			I წელი	
			სემესტრი	
			I	II
	არჩევითი A ბლოკი			
1.	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა (A ბლოკი)	არ აქვს	5	
2.	ქართული ენის ლექსიკა (A ბლოკი)	არ აქვს	5	
3.	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1 (A ბლოკი)	არ აქვს	5	
4	ქართული ენის ფონეტიკა (A ბლოკი)	არ აქვს	5	
5.	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1(A ბლოკი)	არ აქვს	5	
6.	ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგიის საკითხები)(A ბლოკი)	არ აქვს	5	
	არჩევითი B ბლოკი			
1.1	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა (B ბლოკი)	არ აქვს	5	
1.2	ქართული ენის ლექსიკა (B ბლოკი)	არ აქვს	5	
1.3	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1 (B ბლოკი)	არ აქვს	5	
1.4	ქართული ენის ფონეტიკა (B ბლოკი)	არ აქვს	5	
1.5	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1 (B ბლოკი)	არ აქვს	5	
1.6	ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგიის საკითხები)(B ბლოკი)	არ აქვს	5	

7.	ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტები	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა (A/B ბლოკი)		5
8.	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 2	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1(A/B ბლოკი)		5
9.	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 2	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1(A/B ბლოკი)		5
10.	ქართული მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები	ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგია)(A/B ბლოკი)		5
11.	ქართული ენის გრამატიკა (სინტაქსის საკითხები)	ქართული ენის გრამატიკა (მორფოლოგია)(A/B ბლოკი)		5
12	**სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები**			
12.1	დარგობრივი ლექსიაკა (სოციოლოგია, მასობრივი კომუნიკაცია, ჟურნალისტიკა)	არ აქვს		5
12.2	დარგობრივი ლექსიკა (ეკონომიკა, ბიზნესი)	არ აქვს		
12.3	დარგობრივი ლექსიკა (სატრანსპორტო)	არ აქვს		
12.4	დარგობრივი ლექსიკა (მშენებლობა და არქიტექტურა)	არ აქვს		
12.5	დარგობრივი ლექსიკა (ქიმია)	არ აქვს		
12.6	დარგობრივი ლექსიკა (მათემატიკა)	არ აქვს		
12.7	დარგობრივი ლექსიკა (სამართალმცოდნეობა)	არ აქვს		
12.8	დარგობრივი ლექსიკა (ინფორმატიკა)	არ აქვს		
		სემესტრში	**30**	**30**
		წელიწადში	**60**	
		სულ	**60**	

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
	არჩევითი A ბლოკი											
1.	LEH17512G3-LS	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა (A ბლოკი)	5/125	15	45					2	2	61
2.	LEH18012G3-P	ქართული ენის ლექსიკა (A ბლოკი)	5/125			60				2	2	61
3.	LEH17712G3-P	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1 (A ბლოკი)	5/125			60				2	2	61
4.	LEH18212G3-P	ქართული ენის ფონეტიკა (A ბლოკი)	5/125			60				2	2	61
5.	LEH18412G3-P	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1(A ბლოკი)	5/125			60				2	2	61
6.	LEH15812G2-LS	ქართული ენის გრამატიკა(მორფოლოგიის საკითხები)(A ბლოკი)	5/125	15	45					2	2	61
	არჩევითი B ბლოკი											
1.1	LEH17612G3-LS	ლინგვოქვეყანათმცოდნეობა (B ბლოკი)	5/125	15	30					2	2	76
1.2	LEH18112G3-P	ქართული ენის ლექსიკა(B ბლოკი)	5/125			45				2	2	76
1.3	LEH17812G3-P	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 1(B ბლოკი)	5/125			45				2	2	76
1.4	LEH18312G3-P	ქართული ენის	5/125			45				2	2	76

		ფონეტიკა(B ბლოკი)										
1.5	LEH18512G3-P	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 1(B ბლოკი)	5/125			45				2	2	76
1.6	LEH17912G3-LS	ქართული ენის გრამატიკა(მორფოლოგიის საკითხები)(B ბლოკი)	5/125	15	30					2	2	76
7.	LEH19912G3-LS	ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ელემენტები	5/125	15	30					2	2	76
8.	LEH14812G2-P	ქართული ზეპირმეტყველების პრაქტიკული კურსი - 2	5/125			45				2	2	76
9.	LEH15012G2-P	ქართული წერითი მეტყველების პრაქტიკული კურსი - 2	5/125			45				2	2	76
10.	LEH10112G4-P	ქართული მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები	5/125			45				2	2	76
11.	LEH15712G2-LP	ქართული ენის გრამატიკა (სინტაქსის საკითხები)	5/125	15	30					2	2	76
12.	**სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები**											
12.1	LEH17312G3-P	დარგობრივი ლექსიაკა (სოციოლოგია, მასობრივი კომუნიკაცია, ჟურნალისტიკა)	5/125			45				2	2	76
12.2	LEH16812G3-P	დარგობრივი ლექსიკა (ეკონომიკა, ბიზნესი)	5/125			45				2	2	76
12.3	LEH17012G3-P	დარგობრივი ლექსიკა (სატრანსპორტო)	5/125			45				2	2	76
12.4	LEH17212G3-P	დარგობრივი ლექსიკა (მშენებლობა და არქიტექტურა)	5/125			45				2	2	76
12.5	LEH17412G3-P	დარგობრივი ლექსიკა (ქიმია)	5/125			45				2	2	76
12.6	LEH17112G3-P	დარგობრივი ლექსიკა (მათემატიკა)	5/125			45				2	2	76
12.7	LEH16912G3-P	დარგობრივი ლექსიკა: (სამართალმცოდნეობა)	5/125			45				2	2	76
12.8	LEH18608G3-P	დარგობრივი ლექსიკა (ინფორმატიკა)	5/125			45				2	2	76

პროგრამის ხელმძღვანელი თემურ ჯაგოდნიშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ეკატერინე შაკიაშვილი

ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
4 ივლისი 2012 წ.

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ირმა ინაშვილი

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
12 აგვისტო, 2020 წ.
ოქმი № 52

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი